

# განმარტებითი ბარათი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ ცვლილებები შევიდა ისეთ საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის „უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონზეც. ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს კონსტიტუციურ კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“, რაც მოითხოვს „უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნულ კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან მიმართებაში „უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისობაში მოყვანა და მისი შემდგომი დახვეწა.

#### ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტის ძირითადი ცვლილებების არსი არის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დაქვემდებარებაში არსებული, 2004 წლის არჩევნებისათვის შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიების გაუქმება და მისი წევრების უფლებამოსილების შეწყვეტა. როგორც ცნობილია, 2004 წელს აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის თითოეულ რაიონში და ქალაქ ბათუმში შეიქმნა ორ-ორი საოლქო საარჩევნო კომისია, სულ აჭარის მასშტაბით 12 საოლქო საარჩევნო კომისია. საოლქო საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდა იმ დროისათვის მოქმედი წესის მიხედვით, ოლქის წევრები დაინიშნა პარტიული ნიშნით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით მთლიანად შეიცვალა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი, კერძოდ საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების დონეზე კომისიის წევრთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის პრინციპით იმ პირების მეშვეობით, ვისაც გააჩნია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი. ამავე დროს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე პარლამენტის არჩევნებისათვის უნდა შეიქმნას გამსხვილებული 19 საარჩევნო ოლქი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ,, საქართველოს კონსტიტუციურ კანონში 2006 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 21-ს. აქედან გამომდინარე კი საფუძველს მოკლებულია ამჟამად არსებული 12 საარჩევნო კომისიის არსებობა დღევანდელი სახით, ვინაიდან ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ კანონში შეტანილ ცვლილებებს აუცილებლად მოყვება ცვლილებები საარჩევნო ოლქებთან მიმართებაშიც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ამჟამად არსებული ოლქების გაუქმება.

კანონპროექტით ასევე განსაზღვრულია ცვლილების განხორციელება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტში, საიდანაც ამოღებულ იქნება დებულება იმის თაობაზე, რომ უსკოს ხარჯთაღრიცხვას უსკოს წარდგინებით ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. აღნიშნული ცვლილება მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც უმაღლესი საბჭო ყოველწლიურად ახდენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებას, რომელშიც ასევე განსაზღვრულია უსკოს ხარჯთაღრიცხვაც. უმაღლესი საბჭო მხოლოდ საარჩევნო პერიოდში დაამტკიცებს უსკოს ხარჯთაღრიცხვას უსკოს წარდგინებით.

კანონპროექტის მიხედვით მთავრობას, უმაღლესი საბჭოს შესაბამის კომიტეტსა და უმაღლეს საარჩევნო კომისიას ევალება საარჩევნო ოლქებთან და უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე შეიმუშაონ „უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ,, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი და წარუდგინონ უმაღლეს საბჭოს განსახილველად 2007 წლის საშემოდგომო სესიაზე.

კანონპროექტის მიხედვით ცვლილება ეხება ასევე უმაღლეს საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო მოხელეთა მიღებას. კერძოდ, დღეს მოქმედი კანონით საარჩევნო სისტემაში შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ სერტიფიცირებული მოქალაქე. კანონპროექტის მიხედვით კი შესაძლებელი იქნება გარკვეული თანამდებობების განსაზღვრა რომლის დაკავებაც არ იქნება დაკავშირებული საარჩევნო მოხელის სერტიფიკატთან. აღნიშნულ ჩამონათვალს დადგენილებით განსაზღვრავს უსკო. ანალოგიური ცვლილება განხორციელდა საქართველოს საარჩევნო კოდექსში და შესაბამისად ცესკოს დადგენილებით

ცესკოს აპარატში განსახდერულია ზოგიერთი სამსახური სადაც არ მოითხოვება საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად “უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ” კანონიდან ასევე ამოღებულია შუალედური არჩევნების თაობაზე არსებული მუხლები.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.**

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტში ხარჯვით ნაწილზე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობისადმი**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;**

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი;**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.